

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი
კიოკუშინ კარატეში

8-9 თებერვალი, 2019

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ჩემპიონატი ტარდება კატასა და კუმიტეში.

1. ჩემპიონატის მიზანი

- 1.1. კიოკუშინ კარატის პოპულარიზაცია;
- 1.2. მეგობრული ურთიერთობების გაღრმავება;

2. ჩემპიონატის განრიგი

- 2.1. 08.02.2019წ. – 12სთ.00წთ – გუნდების ჩამოსვლა და დაბინავება
14სთ.00წთ.- 16სთ.30წთ. - სამანდატო კომისია და შეჯიბრში მონაწილე
სპორტსმენთა აწონვა;
მის: თბილისი, ბელიაშვილის 5.
17სთ. 00წთ. - მსაჯთა სემინარი
- 2.2. 09.02.2019წ. – 08სთ.30წთ. - საორგანიზაციო კომიტეტის და
შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა გამოცხადება
09სთ.00წთ. - შეჯიბრის დასაწყისი
16სთ.00წთ. - ფინალური ორთაბრძოლები;
18სთ.00წთ. - გამარჯვებულთა დაჯილდოება

3. სამანდატო კომისია

- 3.1. გუნდის უფროსმა სამანდატო კომისიას უნდა წარუდგინოს **განაცხადი**, მონაწილეთა **პირადობის დამადასტურებელი მოწმობა**, სამედიცინო ცნობა, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ სპორტსმენი დაშვებულია ტურნირზე კონტაქტურ კარატეში.
- 3.2. აუცილებელია სპორტსმენებს თან ჰქონდეთ სუფთა კარატე გი და საზარდულის დამცავი ნიჟარა, ქალ სპორტსმენებს – მკერდის დამცავი ნიჟარა. საასპარეზოდ გამოსვლისას აუცილებელია მოირგონ თავის დამცავი ჩაფხუტი, წვივსაფარი, ხელის თხელი ხელთათმანი და საზარდულის დამცავი.
- 3.3. სპორტსმენები, რომლებიც არ გაივლიან სამანდატო კომისიას, ჩემპიონატზე არ დაიშვებიან.
- 3.4. **განაცხადების მიღების ბოლო ვადა არის 02.02.2018.**

4. წონითი კატეგორიები

4.1. შეჯიბრი ვაჟთა შორის ჩატარდება ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში:

10-11 წლის სპორტსმენები:

- 30 კგ-მდე;
- 35 კგ-მდე;
- 40 კგ-მდე;
- 40 კგ-დან;

12-13 წლის სპორტსმენები:

- 35კგ-მდე;
- 40 კგ-მდე;
- 45 კგ-მდე;
- 45 კგ-დან;

14-15 წლის სპორტსმენები:

- 50 კგ-მდე;
- 55 კგ-მდე;
- 60 კგ-მდე;
- 60 კგ-დან;

16-17 წლის სპორტსმენები:

- 60 კგ-მდე;
- 65 კგ-მდე;
- 70 კგ-მდე;
- 70 კგ-დან.

18 წელს ზემოთ სპორტსმენები:

65 კგ-მდე; 75 კგ-მდე; 85 კგ-მდე; 85 კგ-დან.

4.2. შეჯიბრში მონაწილე გოგონათა წონითი კატეგორიები გამოვლინდება აწონვის სამანდატო კომისიის შემდეგ.

4.3. სამანდატო კომისია უფლებას იტოვებს საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს შესწორება წონით კატეგორიებში.

5. ჩემპიონატის პროგრამა

5.1. ჩემპიონატი ჩატარდება ქალთა და ვაჟთა შორის კუმიტცხა და კატაში.

5.2. კუმიტცხაში ჩემპიონატი ჩატარდება კიოკუშინკაი კარატეს საერთაშორისო წესებით; ბრძოლების ხანგრძლივობა:

შესარჩევი ბრძოლები:

10-11 წელი: 2 წთ + 1 წთ + აწონვა (1.5 კგ განსხვავება) + 1 წთ;

12-13 წელი: 2 წთ + 1 წთ + აწონვა (2 კგ განსხვავება) + 1 წთ;

14-15 წელი: 2 წთ + 1 წთ + აწონვა (2 კგ განსხვავება) + 1 წთ;

16-17 წელი: 2 წთ + 2 წთ + აწონვა (3 კგ განსხვავება) + 1 წთ;

+18 წელი: 3 წთ + 2 წთ + აწონვა (5 კგ განსხვავება) + 2 წთ; (აბსოლუტური – 10კგ)

ფინალური ორთაბრძოლები:

10-11 წელი: 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (1.5 კგ განსხვავება) + 1 წთ;

12-13 წელი: 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (2 კგ განსხვავება) + 1 წთ;

14-15 წელი: 2 წთ + 1 წთ + 1 წთ + აწონვა (2 კგ განსხვავება) + 1 წთ;

16-17 წელი: 2 წთ + 2 წთ + 1 წთ + აწონვა (3 კგ განსხვავება) + 1 წთ.

+18 წელი: 3 წთ + 2 წთ + 2 წთ + აწონვა (5 კგ განსხვავება) + 2 წთ. (აბსოლუტური 10კგ)

5.3. კატაში ჩემპიონატი ჩატარდება კიოკუშინკაი კარატეს საერთაშორისო წესებით ორ ტურად.

10-15 წელი

აუცილებელი პროგრამა: (I-V) პინანი.

თავისუფალი პროგრამა: გექსაიშო, გექსაიდაი, იანცუ, საიპა, ცუკინო – ამორჩევით.

და 16 - (+18) წელი:

აუცილებელი პროგრამა: გექსაიშო, გექსაიდაი, იანცუ, საიპა, ცუკინო

თავისუფალი პროგრამა: სეიჩინ, გარიუ, სეიპაი, კანკუ, სუშიპო - ამორჩევით.

6. მსაჯობა

6.1. ტურნირის მსაჯობას წარუძღვება კონტაქტური კარატეს წესებით მოასპარეზე ფედერაციების მიერ წინასწარ წარმოდგენილი მსაჯთა ბრიგადა.

6.2. მსაჯთა უნიფორმა: ლურჯი პერანგი, შავი შარვალი, თეთრი ბაფთა.

7. დაჯილდოება

7.1. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, თასებითა, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

7.2. გუნდურ პირველობაში პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდის წარმომადგენლები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

7.3. საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები საქართველოს სახელით მიიღებენ მონაწილეობას მსოფლიოს, ევროპისა და სხვა მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირებში.

8. ფინანსური ვალდებულებები

8.1 ჩემპიონატში მონაწილეობა უფასოა (მონაწილეები არ იხდიან შესატან თანხას);

8.2 ჩემპიონატზე მივლინების ხარჯებს იღებს თავად მონაწილე ორგანიზაცია;

8.3 ჩემპიონატის საორგანიზაციო ხარჯებს იღებს საქართველოს კონტაქტური კარატეს ფედრაცია.

9. საორგანიზაციო კომიტეტი

9.1. საორგანიზაციო კომიტეტის საკონტაქტო ინფორმაცია:

(+995 591) 44 41 41 მარიამ ჩუბინიძე

(+995 599) 26 82 32 ვია გვენეტაძე

E-mail: anzor@kyokushin.ge

www.kyokushin.ge